

სამშობლო

გაზეთის ფასი:
წლიურად 9 მან., ნახევარი წლით 5 მ., თვიურად 4 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური და მატარებელი 7 კ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილობრივ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 4 მ., დანარჩენი კიდეც ნაწილობრივად.

გაზეთის ფასი:
წლიურად 9 მან., ნახევარი წლით 5 მ., თვიურად 4 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური და მატარებელი 7 კ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილობრივ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 4 მ., დანარჩენი კიდეც ნაწილობრივად.



რედაქცია და კანტორა იმუხვიანთა თბილისი ქ. კნ. მიქელაძის სახლში.

№ 423 ეკველდლიური საზოგადოებრივი და სალიტერატურო გაზეთი. № 423

გაზეთურული მედიკალინური კვანძის ასული დასაბუთებელი პატარა ლექსით, გულდათოქული მშობლები ბესარიონ თამას ძე და სუსანა ზეტრეს ასული, ღებია ნანა და ულისაბუღ ბესარიონის ასული, ძმები ბექტორ და გიორგი ბესარიონის ძენი ღირსთაფანაძეები, აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს უდროოდ დაკარგვას, თში 9 ივნისს გვირუკით მოკვლის, ზნაპროშჩიკას

ვალენტი ბესარიონის მის ღირსთაფანაძე-ნიძისას,

რომლის სულის მოსახსენებლად მთავარანგელოზის ეკლესიაში გადახდალი იქნება მანაშია და გვირგვინი, 7 აგვისტოს, შუადღის 12 საათზე.

სოფელ სავანეში ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გადაიცვალა

ილია (ილიკო) ზურაბის ძე აბაშიძე,

რასაც აუწყებენ მეგობართ და ნაცნობთ ღრმად დამწუხრებულნი მისი ქათათური იდეური ამხანაგები.

სოფელ სავანეში ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გადაიცვალა

ილია (ილიკო) ზურაბის ძე აბაშიძე,

რასაც აუწყებენ მეგობართ და ნაცნობთ ღრმად დამწუხრებულნი მისი ქათათური იდეური ამხანაგები.

ქუთაისის ქალაქის გაგვირგვინება

ამით აცხადებს, რომ ქალაქის მეორე ქალთა ზირველდაწეების სასწავლებელში განთავსისუფლდა მასწავლებელი ქალის ადგილი. ამ ადგილის მიღების მსურველს შეუძლია მიმართოს თხოვნით ქალაქის გამგეობას 15 აგვისტომდის მდგომარე წლისა.

იყიდება

ქ. ქუთაისში, სტეფანე ფეიქროვის საცაქროში, ურმინის საქანავი და ურმინის საწერი. ურმინეთ სოფლის ბანკებს და კოოპერატივებს შეიძინონ განსაზღვრულად სოფლის მეურნეთა შორის შემოსესებულის საქანავი, ვინაიდან იგი დიდ დასმრებას გაუწყებს მათ შუა სელის ნაკლებობის გამო.

იკლავა იჯარით მემ მარ იჯარით აღებული

სადარბის აგარაკზე სასაქონო მიწა ორასი კვად. სკვინი, აქვე გაშენებულია ასი ძირი კარგი ჯიშის ნაუოფიერი ვენახი. ესო მალადი დობითაა შემოკავებული.

პირობების გაგება შეიძლება კ. შირაძის სახლში.

აქიანი გაბრიელ იოსების ძე გომიანი დამბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება, ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. ხინაჯი ნეგრობისა და ვენეროულ ავთომყოფათვის. ავადმყოფნი მიიღებიან დღის 9-12 საათ. და ხალ. 6-8 საათ.

აქიანი ა. მ. ასათიანი. რადიკალი სასახურის გამო კუსტოკი გაიყვანს მისერადურ წლების ჯგუფის ექიმად მან ავთომყოფების მიღება 1 აგვისტომდის შესწყობა.

ელექტრო "ამპირ" თებრი
სუთშაბათიდან, 4 აგვისტოდან ასალი პროგრამა:

ველური ძალა.

ძლიერი დრამა 3 ნაწილად ანა მარისა, ქნ რეპიკოვისა და ბ. ვეარტის და სოტნიკოვის მონაწილეობით.

ანტონა და შავი ხელი.

კომედია—ფარსი 2 ნაწილად ვარშავის თებრის ცნობად მსახიობის ანტონ ფერტერის მონაწილეობით.

ელექტრო "რადიუმ" თებრი
სუთშაბათიდან, 4 აგვისტოდან ასალი პროგრამა:

ბედი ცვალებადია

ძლიერი დრამა 4 ნაწილად. ქნ ქერუვიმოვის და გრეას მონაწილეობით.

ქალის შურისძიება.

სახუმარო.

იყიდება.

დაბა ხონში იყიდება სამოსახლო ადგილი

სივრცით დახსლოვებით 1500 საკენი. სემინარიის გვერდით. ზირობების გაგება შეიძლება ქ. ქუთაისში, თბილისის ქუჩა, ნიქარაძის სასალი, № 46.

სახალხო მასწავლებელთა საყურადღებოდ.

ქუთ. გუბ. სახალხო მასწავლებელთა მთავარი გაგვირგვინება აცხადებს მასწავლებელთ, რომ აგვისტოს 21-დან ქუთაისში დაიწყება სახალხო მასწავლებელთა საგუბერნიო

ყრილობა.

რომელიც გაგრძელდება 26 რიცხვამდის. განსახილველია ბევრი სსვა და სსვა საუურადღებო საკითხი, ბოლოს კი მოხდება პრესიდიუმის არჩევნები. ურილობაზე მოწოდებული იქნება ლექციების კითხვა სსვა და სსვა დარეიდან, რისთვისაც მოწვეული არიან გამოყვადი ლექტორები. ვინც წყნად არ არის ჩაწერილი, ან კრებამდის არ ჩაეყრება, მას გადაწყვეტი სმის უფლება არ ექვება. 3-1

ქუთაისის რვა კლასიანი საკომერციო სასწავლებელი აცხადებს,

რომ მომავალ სამოსწავლო წლიდან იხსენება მეორე კლასი. მისიღები გამოცდები თავისუფალ ვაკანსიებზე მოხდება 23, 24 და 25 აგვისტოს. თავისუფალი ვაკანსიებია: უმცროს განყოფილებაში—20 უფროს განყოფილებაში—2—1, კლასში—2 მე-2 კლასში—6.

სასწავლებლის მოწოდება ხელმოკლე გამოცდა 26 და 27 აგვისტოს მოხდება, ამის სია თავის დროზე გამოკრული იქნება სასწავლებლის კანცელარიაში. 31 აგვისტოს დღის 10 საათზე გადახდილი იქნება პარაკლი'ი და 1 სექტემბერს 266 დღის 8 1/2 საათზე დაიწყება მეცადინეობა. 3-1

დსოფლიო ომი.

დეკემბერი.
(მეტ. დეკ. საგ.)

შობაღმდის მთავარ სარდლის შაბათი-საბან.

პატრონაღი. 3 მარიაშობისთვის ოფიციალი. დასავლეთი ასპარეზი. ბრეკანის სახმრებით ზოლოტოლიაზე რამდენიმე ადგილას რუსის მხედრობამ დაიჭირა მდინარის დასავლეთი ნაპირი. მტერს კონტრიერიშები მოაქვს და ადგილ ადგილ აჩრებს მოიერიშეთ. ზოლოტოლიაში და დნესტრის შესართავს შუა რუსები ბრძოლით მიდიან წინ. მტერი სასტაკს წინააღმდეგობას უწევს. მდ. ბისტრიცაზე

რუსებმა აიღეს დაბა ზოლოტინა და სოფ. მანიავა (ზოლოტინის სამხრეთ-დასავლეთით). დელატინისა და ვორობტის მიმართულებით მტერი უკან იხვეს. ვორობტის დასავლეთით და მარდაროვის მიმართულებით რუსებმა რამდენიმე სიმაღლე აიღეს. კოლობაბის მიმართულებით, ვაბულის მთის რაიონში, ავსტრიელები ეცადნენ იერიშებით გამოეცაშქრათ, მაგრამ მალე შეჩერებულ იქნენ. 22 მაისიდან 30 ივლისამდე გენერალ ბრუსილომა დაიპყრო მთელი ხაზი ავსტრია-გერმანელთა სიმაგრებისა მდ. პრიპიატიდან მოყოლებული რუმინეთის საზღვრებამდე. ტყვეებისა და დავლის მიხედვით გამარჯვება ასე განისაზღვრება გენერალ კალედინს დაუტყვევებია 2384 აფიცერი და 107,225 ჯარისკაცი დაეღად დარჩენია 147 ზარბაზანი, 459 ტყვისმფრქვეველი და 146 ყუმბარის მფრქვეველი და ნაღვისმფრქვეველი. ლტინისკის წამოუყვანია 2139 აფიცერი და 100,578 ჯარისკაცი, 127 ზარბაზანი, 424 ტყვისმფრქვეველი, 44 ყუმბარის მფრქვეველი და 35 გატენილი თოფი წამლის ყუთი. სახაროვს—1967 აფიცერი, 87,448 ჯარისკაცი, 76 ზარბაზანი, 232 ტყვისმფრქვეველი, 119 ყუმბარისმფრქვეველი და 128 საცე თოფ-წამლის ყუთი. შჩერბანეფს—1267 აფიცერი, 55,794 ჯარისკაცი, 55 ზარბაზანი, 211 ტყვისმფრქვეველი, 29 ყუმბარისმფრქვეველი და 129 საცე ყუთი. სულ 7757 აფიცერი, 350,845 ჯარისკაცი, 405 ზარბაზანი, 1326 ტყვისმფრქვეველი, 338 ყუმბარისმფრქვეველი და ნაღვისმფრქვეველი და 292 საცე ყუთი. ამას გარდა წამოღებულია მრავალი ვინტოვკა და 30 ვერსის გასწყობი სალიანდაგო რკინა, სატელეფონო ქონება და საინჟინერო მასალა.

დასავლეთის ასპარეზი.

მდგომარეობა უცვლელია.

კავკასიის ასპარეზი.

კალა-პასავას რაიონის დასავლეთით ოსმალი იერიშებს იგერიებენ.

პარიზი. 3 მარიაშობისთვის. ოფიციალი. სომაზე ფრანგებმა მოქმედება გააძლიერეს, განსაკუთრებით ბულმის სამხრეთით და ლივონის ჩრდილოეთით. გერმანელთა მხვერავებმა ძლიერი სროლის შემდეგ მილიონებს ფრანგთა გამარჯვებულ მალს პოზიციებს ბონის ჩრდილო დასავლეთით, მაგრამ ფრანგებმა კონტრიერიშით მოიგერიეს მასის მარჯვენა ნაპირზე 300 მეტრის სიგრძეზე და ას მეტრის სიგანეზე წაიწიეს ფრანგებმა. შაველ სენტფინის ჩრდილოეთით გერმანელებმა განიზრახეს კონტრიერიშით წამოსვლა, მაგრამ შეჩერებულ იქნენ. ფლერი ვოშაბიტის მხარეს სასტაკი საარტილერიო სროლია. დანარჩენ ფრონტზე ღამე მშვიდობიანათ ჩაიარა

ლონდონი 2 მარიაშობისთვის ორი დღის სროლის შემდეგ პოზიერის ჩრდილო დასავლეთით ინგლისელებმა თითქმის ყველა თხრილები დაიჭირეს, რაც გერმანელებმა წაართვეს მათ 31 მეთათვეს. რყველ წამოიყვანეს 11 ჯარისკაცი. გერმანელებმა ორჯერ იერიში მოიტანეს მაგრამ დღის ზარალით უუფლებულ იქნენ. გილიუხის ჩრდილო-დასავლეთით გერმანელებმა ნაღვი ააფეთქეს, ამოთხრილი ორმო ინგლისელებმა დაიჭირეს.

ყურნალ-გაზეთებიდან.

მტკიცდება ის ხმა, ვითომ სამის კვირის განაულობაში გერმანეთი რუსეთის პოლონეთს დამოუკიდებელ სამეფოდ გამოაცხადებდეს. ეროვნულ მთავრობის შესადგენად გაწვეულია პოლონეთის უმაღლესი

აღმოსავლეთის ასპაზი. მ. ზოლოტაია ლიპაზე რუსები აღვილ ადვილ წინ იწვევენ და ავსტრიელთა კონტრ იერიშებს იგერიებენ. მდ ბისტრიცაზე რუსებმა დაბა ზლოტუნია და სოფ. მანიავა აიღეს. კირლი ბაბთან ავსტრიელების შემოტევა რუსებმა შეაჩერეს და კირლი ბაბის ჩრდილოეთით წინ წაიწვიეს.

პავსანის ასპაზი. კალა ჰესავასთან რუსებმა ოსმალთა იერიში მოიგერიეს.
დასავლეთის ასპაზი. პოზიციის დასავლეთით ინგლისელებმა თითქმის ყველა დაკარგული თხრილები დაიბრუნეს. სომხის მიდამოებში ფრანგები კვლავ ენერგიულად აიჭიდდნენ. გერმანიელთა კონტრიერიშები ყველგან მოიგერიეს. ვერდენის მიდამოებში ცხოველი საარტილერიო ბრძოლა სწარმოეს.

იტალიის ასპაზი. იტალიელები ზოგ ალაგას კვლავ წინ მიიწვიენ.

ლეს ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარე იანვრისკი, რომელსაც შეერთებულ პოლონურ ორგანიზაციებისაგან წინააღმდეგ ნდობა და რწმუნება მიუღია შევეცარაში. ბეტმან-პოლოვეგი სწრაფად ავსტრიაში გაგზავნეს, რათა ავსტრიის მთავრობა დაარწმუნოს, რომ პოლონეთის საკითხის ჩჭარი გადაწყვეტადს სარგებლობას მოიტანსო.

ამბობენ, ავსტრიის გარეშე საქმეთა მინისტრი ბურჩინი გადადგება და მის ნაცვლად ანდრაში დაინიშნება.

პეტროგრაძიდან იტყობინებან მოკავშირეთა და რუმინეთს შორის დიპლომატიური მოლაპარაკება კვლავ გრძელდება მოკავშირეთა სისარგებლოდათ.

ინგლისური „დელი ტელეგრაფი“ ირწმუნება: საფრანგეთის წინააღმდეგ გერმანიამ ეხლა 340 ათასი ჯარის კაცი გაიყვანა. ამითში ასი ათასი ახლად შედგენილია, ხოლო 240 ათასი ავადმყოფობის შემდეგ გაჯანმრთლებული მეთორმეტი.

ლონდონიდან იუწყებიან: მიუხედავად იმისა, რომ ლორდა ბლანფორდი თავის დროზე უარყო ინგლისის გემის უარსპიტ“-ის დაღუპვა, მიუხედავად იმისა, რომ ინგლისელების დიდი გემი „უარსპიტ“ ი იუტლანდიის ბრძოლაში დაიღუპა.

ბუქარესტიდან იუწყებიან, რომ ავსტრია უნგრეთის და გერმანიის გახეთქვა მოუხშირეს ბუქარეს რუმინის წინააღმდეგ. არ არის გერმანიული გახეთქი, რომელიც რუმინის არ ფუქტობდა. მუნხენის გახეთქი პირდაპირ აფრთხილებს რუმინის, სულერთია ზავის შემდეგ გავისწორდები

სახქარო საქმე.

ჩვენი საზოგადო ცხოვრება რომ ნორმალურ გზაზე დაავუნოთ და ბრწყინვალე მომავალი უზრუნველ ვყოთ, ამისათვის ჩვენ ბევრი რამ უნდა გავაკეთოთ და მოვაწყუთ. საზრუნავი და თესატები ბევრი გვაქვს, მაგრამ მზრუნველი და ქიჩის სუფალი ტაოტა გვყავს. მართალია თანდათან ჩვენ ვიღვიძებთ და რაც აქამდე მოხდარა ეგებ აწი აღარ მოხდეს, მაგრამ ვაი თუ ზოგერთი საქმე ისე წახდეს, რომ გამოკეთება აღარ მოხერხდეს. ყველაფერი გვიდა და ყველაფერს ვეტანებთ, მაგრამ ჯერ აუცილებელი რაცაა ამის უნდა ვეშურებოდეთ დიდი ნიჭი და წინდახედულებაა საქმე, რომ კაცმა კარგათ გარკვიოს, რა უმაღ უნდა გააკეთოს და რა შემდეგ შეიძლება კერძო ცხოვრებაში ეს არავის გაუჭირდეს და ვიწრო ოჯახურ ფარგალში ამას საშუალო ნიჭის პატრონიც კი მიხედეს, მაგრამ საზოგადო ცხოვრებაში ეს ადვილი გასაცემი არაა, მეტადრე იქ, სადაც ისტორიულ ქარტესილს ერის ცხოვრება ძლიერ შეუწყვეტა. ჩვენი აწყობა და მომავალი იმდენათ ნათლათ არაა გამორკვეული, რომ პრაქტიკულ მოღვაწეობაში ყველა ერთ გზას ვაღვათ. საუბედურთათ, ჩვენში თეორეტიული უთანხმოება პრაქტიკულ ცხოვრებაში ძალია დაქსანას იწვევს და ამიტომ ჩვენი ცხოვრება ისე სიჭკარიო არ ვითარდება როგორც ეს თანხ მობის პირობებში შეიძლებოდა.

ვინც საზოგადო ცხოვრებას თვლის ადვენებს და ჩვენი ხალხის მდგომარეობას უკვირდება ის უმჯობესად დამეთანხმება რომ

თო. ვაზეთის სიტყვით ამ უმაღ უბირატესობა ცენტრალურ კავშირს ეკუთვნისო და რუმინის ჩარევა არაფერს შესცვლის. ვაზეთის მეორე ნომერში რუმინის აფრთხილებენ, იცოდეთ გერმანია არამც თუ ხელს შეგიშლის გამოსვლაში, არამედ მომავლისათვისაც კარგს გაკეთილის მოგვცემსო. ოფიცოზურიცნობები და ფიცი რუმინის მხრით გერმანიას თვალს ვერ აუხვევსო.

ბერლინიდან განსაკუთრებულ დაგოყებით გაუგზავნიან რუმინის მეფესთან შეკლებბურგის ჰერცოგი.

ბერლინიდან ტავებლატ“ ი იუწყება, რომ პირველ აგვისტოდან ივლის ბერლინიდან ბრეტ ლიტოვსკით ბარანოვიჩმდე სწრაფი მატარებელი. ბერლინიდან ბრეტ-ლიტოვსკამდე მატარებელი გზაში დაყოფს სულ 20 საათს და რამდენიმე წუთს.

ბუქარესტიდან იუწყებიან, სტამბოლში მობილიზაცია გამოაცხადეს გალიციაში გასაგზავნ ჯარის მოსაგროვებლად. ამ ჯარის სარდლად დაინიშნა ჯემალ-ფაშა.

კაპენჰაგენიდან ბირე, ველ“-ის ატყობინებენ, დაიხილებით ლაპარაკობენ; ბრატანუ მოკლენ ხანში პარლამენტს მოიწვევს არა ჩვეულებრივ სესიისათვის. ვაიმართება რამდენიმე დახურული კრება და ბრატანუ საერთო მდგომარეობას დასურათებს. რუმინის მომავალი პოლიტიკა დამყარებული იქნება პარლამენტის ვალაწვეტილებზე

გერმანიებს მრავალი ორთქმავალი და ვაგონები ბელგიიდან რუსეთის ასპარეზზე გადმოუხლიდათ.

ერთი არსებით საკითხი, რომელიც საქარო გადაწყვეტას მოითხოვს. არის შიშის საკითხი.

დასავლეთ საქართველოში დიდი სიციქროვეა მიწისა, ეს გარემოება დღითი დღე მწვევდება და, თუ მალე არ მოწესრიგდაცულ მომავალსაც გვიქადის ჩვენ მიწას უნდა დავებატრონოთ, არამც თუ ამას ვერავის გავატანთ, სხვაგანც უნდა ვეძით თანდათან აღმოსავლეთ საქართველოსკენ უნდა გადავიწიოთ და ჩვენი მოღვაქე და ვაბინავოთ. ამას ვეკარახებდ დღევანდელი სინამდვილე და ეს კარნახი იმდენათ მკათოი და ხმაზადალია, რომ აქ სიჩუმე და ლოდინი ისეთ უფსკრულში ჩავვადგება, სიდანაც გამოსავალს ჩვენი თაობა ვეღარ ნახავს.

რომ უფრო ცხადათ წარმოვიდგინოთ დღევანდელი სურათი ქუთაისის გუბერნიაში მიწის სიფრთხისა მცხოვრებლებთა რაოდენობის მიხედვით ამისთვის დაგხელოთ შემდეგ ცხრილს. *)

მარებები	კვალ. ვერ	კომლი	სული
ქუთაისის	3035	31861	224 480
შორაპნის	2678	29580	184 278
სენაკის	2977	21258	131 757
ზუგდიდის	2492	23313	131 402
ოზურგეთის	1946	12463	101 420
ლჩხუძის	4280	8756	57 708
რაჭის	2531	10730	86 629
სულ	19909	138961	919674

*) ცნობი ამოღებულია 1913 წელს ტარსკოში.

შვეციიდან მოსულ ცნობების მიხედვით ბელგიაში აჯანყება მომხდარა. გერმანიელებს მრავალი ბელგიელი სოციალ-დემოკრატი დელუტუსადებიათ.

დ. შუთაისი, 6 აპრილი.

თუ სიღარიბე და სიღალბეკე ბევრჯერ ამცირებს ადამიანის პიროვნებას, აბეზებს მას და ყველას ხელის შემწყურებლადა ხდის, ხშირად არც მეტის მეტი სიმდიდრე, სხვისი შრომითა და ოფლით სარგებლობა, სხვისის ხელით ნარის გლეჯა, ახალღებს ამავე ადამიანს.

ბირველიცა და მეორეც, ე. ი. ღარიბიცა და მდიდარიც, უმეტეს შემთხვევაში ჰკარგვენ ადამიანის სახებას და თუ ღარიბი დღე და ღამე მარტო თავის მატერიალურ მხარის დაკმაყოფილებაზე ჰფიქრობს და წუწუნებს, მდიდარს ღმერთი ავიწყდება და ისე იქცევა, თითქოს, მის გარდა სხვა ყველანი ქია ლუად გაჩენილიყვნენ ...

აქედან იხადება საშინელი და საზარელი საუბრითი წინააღმდეგობა, აქედან ითრება თვალ-უწვდენელი უფსკრული ადამიანთა შორის და იქედება ის ღრმა სიძულვილი კაცის კაცსადმი, რომელიც ამდენ ცრემლსა და სისხლს ანთხევს დღიდან ქვეყნის გაჩენისა.

ძალდობრობა ხდება ქვეყნის გამგებლად და შურისძიება—საშვილიშვილო ანდერძად!

ადამიანი კი მხეცი აღარ არის, რომ იკვებოს თანამომხის ხორციით, და სვაი აღარ არის, რომ სრულტოს სისხლი თავისივე მსგავსისა!

გარდა მატერიალურ მოთხოვნილებათა და პირად გაუმადლობისა, ადამიანს განგებამ მისკა გონება, გრძობა, სული და გული, მისკა ნაშუის, რომელიც „მოციქული უნდა იყოს პატროსან მტერთა შორის“ და გრძობა-განების მეფობით ისე უნდა მოაწყოს თავისი მხარდა ცხოვრება, რომ მეორე თავისი მსგავსი, თავისი თანამომე, კაცი—ადამიანი, პირუტყვის ხარისხამდე არ დაამციროს და სიცოცხლე არ მოუშაშაოს!

ევეი არ არის, რომ თანამედროვე პოლიტიკური და ეკონომიური პირობები ერთს ერს, ერთს წრეს, ერთს კლასს, ერთს ჯგუფს. აბატონებენ მეორეზე, და ვაბატონებულნი ცხოვრების ხელმძღვანელებათაც ითვლებიან, მაგრამ საქვეყნო, საკაცობრიო სინიღისი ყოველთვის მოითხოვს არა ბატონობას, არა ერთისაგან მეორის დაჩაგვრას, არა ძალდობრობას, არამედ მოითხოვს მშობასა, ერთობასა და სიყვარულს მოყვასისას.

ამ რწმენით სულდგულობდენ კაცობრობის უკეთესი შვილი, როცა მასსას—ხალხს, სულს უხუთავდა ჯერ მონობა და

ყველა შემოადინშული მხარების მადანი რომ ვიანგარიშოთ სახმარი და უზმარი ერთიანად მიხლობებით მოსახლეს (8-10 სულს) 15 დესიატინა არ ხედება, მაგრამ თუ მხედველოში მივიღებთ, რომ 1913 წელს დამუშავებული ყოფილა (გუნახათ 18193 დესიატინა და ყნათ [სათე სათ) 270260 დესიატინა) ე. ი. 288453 დესიატინა აღმოჩდება. რომ მოსახლეს ორ დესიატინაზე ნაკლები უწევს, ისიც მაშინ როცა მთელი გუბერნიის ქალაქებში ანგარიში არ შეგვაქვს. თუ მხედველობაში მივიღებთ მცხოვრებთა ზრდასცქხალია მიწის სიფრთხე მალე გამწვავებას გამოიწვევს თავის თავათ ცხადია რომ ჩვენში ახლავე უნდა ვფიქრობდეთ იმას, საით ვეძიოთ გასაფართოებელი გზა ასეთი გზა ბუნებრივი და სამართლიანი არის აღმოსავლეთ საქართველოსკენ, სადაც შედარებით მეტი სარფაროგვა და სადაც ჩვენი ბინადრობა უფრო მოსახერხებელია.

ხალხმა თეთიან იგრონო ეს გზა და ორი მხრიდან შორაპანისა და რაჭისა უკვე გადასხლდენ კაბაღში 200ზე მეტი მოსახლე ნიჭერი წინამძღოლი ამ საქმეს ისე გაუძღვება, რომ გადასახლება ზედმეტი მკვიდრისა ბუნებრივად იწარმოებს ამ გარემოებას ჩვენს ურადდება უნდა მივაქციოთ და ეს მიმდინარეობა სწორ გზაზე დაავაყნოთ. მართალია, ჩვენში მიწის სიფრთხე იწარმოებელია, მაგრამ უფრო სახიფათო ისაა, რომ ჩვენში ვინმე გარეშე ადვილი შეიძინოს და კიდევ აქ ვინმე ჩამოკვესახლონ—აი ამავე იტყვიან ყვავს არ ჰქონდა—ბუს გაქონდათ. აი ეს რომ მოხდეს აუტანელი მდგომარეობა მაშინ შეიკვნიან.

მერე ბატონყმობა. მონობა მოისპო, ბატონყმობა გადავატრდა მასსა, ხალხი, გამოფიხილდა, დაწინაურდა, გონებრივათა და ხელობრივად ამაღლდა, სულს ჰხუთავს მას შხოლოდ ქონებრივი შევიწროება და უფლებრივი უსამართლობა, მაგრამ სწორედ აქ არის საჭირო ის მოციქული პატროსან მტერთა შორის, რომელსაც ნაშუისა ჰქვიან და რომელმაც უნდა დამშვენოს თითოეული ადამიანი,—როგორც კერძო ზარსაყვას და როგორც წვერიც საზოგადოებისა

სხვა უებრო საშუალება ადამიანურ ურთიერთობის დასამყარებლად ჯერ არ მოგვეპოვება, ვინაიდან—ღილი ილიას თქმისა არ იყოს—უკიდურესს სიღარიბედან უღიდეს სიმდიდრემდე იმდენი სარგებურია, იმდენი კება, იმდენი მეტნაკლებობაა, რომ ძნელი გასათვალისწინებელია: სად თავდება მოვალეობა ერთისა და სად იწყება უფლება მეორისა.

ცხოვრების ამ მიხვეულ-მოხვეულ გზაზე სასიარულოდ ჩვენი უმთავრესი ყავარჯენი უნდა იყოს სამართლიანობა და ის საინაზო ქეშმარიტება, რომ ყველას სწავლებს ისიცოცხლე და ყველას აქვს უფლება ისარგებლოს თავის შრომის ნაყოფით იმდენად მაინც, რომ თავისი სულიერი და მატერიალური მოთხოვნილებათა უმრავლესობა დაკმაყოფილოს.

მაგალითად, თუ ჩემს შვილს აპოიკის წაღებს ვაქცე, იმდენი სინიღისი მაინც უნდა მქონდეს, რომ ჩემმა ხელზე მისამსახურემ ფეხშიშველა არ იაროს; თუ ჩემიანგეს ხავერდის ტანისამოსს ვახმარებ და ავტომობილებით ვასივრებ, ჩემი „ხელქვეითნი“ სუფთა ჩითის სამოსელში მაინც უნდა იყვნენ გამოწყობილი და უზარალო ეტლით შეეცლოთ წესელ-წამოსელა გაკირვების დროს მაინც! თუ ჩემს მოზარდებს უნივერსიტეტებში ვზრდი მათი მომვლელობას მასახურებით პირველადწყებით სკოლაში მაინც უნდა იზრდებოდნენ, რომ იმათაც იხილონ ნათელი მზისა და იგემონ სიტკობება განათლებისა, გადაამიანებისა.

ახალი ამბავი.

გადაყვანა. იუსტიციის სამინისტროს განკარგულებით ქუთაისის სასამართლოს პროკურორი გ. ა. ოკიშორი გადაყვანილ იქნა თბილისის სასამართლოს პალატის პროკურორის თანამდებზე

მწესიალექვობა. როგორც მაქოდან გადმოგვცემენ ბაქოში მწესილის დიდი სიძიერე ყოფილა ამის გამო ბაქოს გენერალ-გუბერატორი ატყობინებს ბ. ქუთაისის გუბერნატორს, რათა გამოუწვადოს ქუთაისის გუბერნიის მებაღეთ, რომ შემოიტანონ ბაქოში მწესილიყელობა.

ეს უბედურება მოსალოდნელია და აირატომ: ჩვენში უწინ მესაკუთრე ანუ მიწისმფლობელი იყო ბატონი, გლეხი კი მიწის დამამუშავებელი ძალა. ბატონყმობის მოსპობის შემდეგ მესაკუთრეთ გახდა გლეხი: მიწა თანდათან ბატონის ხელიდან გლეხის ხელში გადავიდა. ის მოვლენა სრულიად ბუნებრივი იყო, რადგან ჩვენ გლეხს დიდი სურვილი აქვს მამულის, მიწის შეტენის სურვილი ჩვენი გლეხის დამახასიათებელი თვისებაა. როდესაც ჩვენი გლეხი მიწას ყიდულობს ის სულიერ კმაყოფილებას განიცდის. ასეთია სულიერი განწყობილება ქართველი გლეხისა. ჩვენი გლეხის ასეთი მისწრაფება სხვათა შორის მითიცი დამტიცილა, რომ მართო ქუთაისის გუბერნიაში გლეხობას 1912 წლის პირველ იანვარმდე ჰქონია გამოყიდული მათი მებატონეებისაგან 8,384,657 მანეთის ადგილ-მამული, ასე რომ 1912 წელს სხვა უბრავე საკუთრებასთან ერთათ, გლეხობის ნასყიდი მიწის ფასი უღრიდა 10,900,000 მილიონ მანეთს. თუ ვაგისხენებთ იმ გარემოებას, რომ მებატონესა და ყმის მოპრიგებელი შუამავალი არიგებდა და გლეხს ადგილი მხოლოდ იათათ რჩებოდა, ადვილათ წარმოვიდგინოთ, რომ გლეხებისაგან შეტენილი საკუთრება ათჯერ და ოცჯერ მეტი ღირს, ვინემ საბუთებშია აღნიშნული.

მუყათოდ და ენერგიულათ მიწყო ხელი მიწის დასაკუთრებას ჩვენმა გლეხმა და ეს დღესაც ასე ხდება, მაგრამ საშუალო გამოწყალის ამ ბოლო დროს შეადგენს მობარაობის შემდეგ გურიაში გლე

მაგრამ უბედურება ის არის, რომ ასეთი საინაზო ქეშმარიტება ხშირად გვაიწყდება და რაკი ვიშოვათ, თუ ვიპოვი რამეს (ქონებრივანა ან უკიდურესად), რაკი ცხოვრებნი სულს-სულს შევიწვი ქვეყნის ხოლმე შეორის უფლება და მოთხოვნილება ჩირადაც აღარ მიგვაჩნია და ჩვენზე დამლებსათვის ნასუფრალიც კი აღარ გვემეტება!

აი, სად არის სათავე ყოველივე ბოროტებისა! აი, რის წინააღმდეგ უნდა ვიბრძოლოთ; თუ კი გვიდა, რომ ვატაროთ სახე ადამიანისა და ვიყვენეთ მეშაკი განკაცებისა!

საუბედურად, ასეთი ბრძოლაც ხშირად უკანონობა გვეჩონია და ჩვენის აღზოფითებით გესურს ხოლმე დაფაროთ კვნესა და ვაება „მცირეთა მათ მოძმეთა ჩვენთა“.

— შენც იცხოვე და მეც მაიხოვე! —აი დანიშნულება თითოეული ადამიანისა, და, ვინც მხარს არ დელუქრს ამ საკაცობრიო მოთხოვნილებას, ვინც ვწინააღმდეგება ამ უფლებისათვის მებრძოლოთ, ის მტერია არამც თუ ქვეყნისა, არამედ მტერია თავისი თავისაც, ვინად გან უსამართლობა მისი ჰქმნის ჯოჯოხეთურ პირობებს ცხოვრებისას და პირველი თვითვე შთაინთქება ამ ჯოჯოხეთში...

მაშასადამე,—ჩვენი წმინდა მოვალეობაა ყოველი ღონე ვიზმაროთ, რომ არავინ დაიჩაგროს ქონებრივად და არავინ დაკნინდეს ვონებრივად...

ამიტომ, ჩვენ მთელის ჩვენის არსებით მხარს ვუჭერთ ყოველგვარ სამართლიან მოთხოვნილებას და ვგმობთ ყველა იმათ, ვინც წინააღმდეგება გადადამიანებისა და განკაცების მსურველთ.

ის ნაწილი საზოგადოებისა, რომელიც გაიძღვრეულა რამდენიმე თაობის შრომით, მოვალეა დააკმაყოფილოს მომთხოვნელნი: ნოქრები, იქნებიან იგინი თუ მუშები, ხელოსნები, თუ ინტელიგენტი მშრომელნი,—თუ არ უნდა, რომ თერთონაც დაიღუპოს და სხვებიც დაღუპონ.

ნოქრების მოთხოვნილება. ადგილობრივ სავაქროების ნოქრებმა მოთხოვნილება წარუდგინეს სავაქროების პატრონებს, რათა სიძიერის გამო მოემეტოსაგარო. ვინც 30 მანეთს ღებულობს მოემეტოს 130%, ვინც 60—70 მან. მოემეტოს 50% და ვინც ღებულობს 70 მანეთზე მეტს—მოემეტოს 40%; ამის გარდა ჯარში გაწვევის დროს მსახურთ მიეცეს ნახევარი წლის ჯამაგირი.

დაჯანმეყა. ქუთაისის გუბერნატორის განკარგულებით დაჯარიმებულ იქნა ბის საკუთრება აღარ მატულობს. სამწუხაროთ იქ ფესვი გაიღდა ერთგვარმა შეხედულობამ, რომელმაც გლეხის მიღრეკილება მიწის საკუთრებისაკენ შესუსტა. იქ დღეს გლეხი ფიქრობს, რომ მიწა ავათ იქნება თუ კარგათ, მაინც იმადაჩება და ყიდვა ზედმეტათ მაინია. მიწის შესყიდვა ძველ, დახავსებულ, უაზრო ჩვეულებათ არის აღვიარებული. სხვა მარბებში გლეხები ერთმანეთს ესრისებიან და ძალას არ ზოგვენ მიწის შესაძენათ, გურიაში კი ამაზედ არავინ ფიქრობს. აი სხვათა შორის რას გვეუბნება სტატისტიკა 1913 წლისა:

მარებები	ნასყიდობის ფურცელი.	კომლი	ქვეა	ფასი
ქუთაისის	3	3	102	450
შორაპნის	412	412	4863	150618
ოზურგეთის	1	1	6	100
რაჭის	20	20	373	8140
სენაკის	32	32	218	4788
ზუგდიდის	89	89	1377	11254
ლჩხუძის	65	55	856	11701

აი რა განსხვავება! ერთი წლის განმავლობაში შორაპნის მხარაში 412 კაცი ხდება 4863 ქვევის პატრონათ, ზუგდიდში 89 კომლი იქნეს 11 ათასი მანეთის საკითრებას და გურიაში კი ერთი კაცი იქნეს 6 ქვევის და ისიც ასი მანეთის საღირალს. ნუ თუ ამის შემდეგ ოქმის რომ გურულ კაცს ბუნება არ შესცვლავდა ის უწინდებურად მიწის შესაკუთრება.

ველთის ამ საღამოსაც კარგი იყო. ის ერთი წელიწადია, რაც აქვთ სცენაზე გამოვიდა და მისი თა აზით საზოგადოება ყოველთვის კმაყოფილი რჩება.

ბ-ნი ლეონიძე, დაკვირვებულობა, ნიჭიერი და სპეციალ ტექნიკის მქონე ცხელი ახალგაზრდა, მაგრამ მისი ამ საღამოს პათოსური ლაპარაკი საზოგადოების უმრავლესობისთვის გაუგებარი რჩება. საჭიროა მან ამ მხარეს მიაქციოს ყურადღება, ისე თვალსაზრისით დალია სცენისათვის.

რაც შეეხება ბ გვეგნავს, ის გვარია ნი განსახიერება იყო ფუქსიატ "ინტელიგენტი" ვიქტორისა

ზომიერი მეგობარი ვაშლია ბ ჯაკობი კოტის როლში. ბ-ნი ბოფორია, კომპოზიტორის მორაგები ჩაფუქსიატის და ყოველგვარი სიახლეების მოსახიერების უსინდისი ტიპის განსახიერებით მაგალითი მისცა ყველას, განსაკუთრებით სცენის მოყვარებებს რომ დიდი ყურადღებით უნდა მოეპყრონ ისეთ უმნიშვნელო (?) როლსაც კი როგორც არის სახლის პატრონი ბალდინი. უკეთესი იქნებოდა, რომ ცოტა არ გადაეჭარბებინა სარდლის შემოსრულებელმა ბ-ნ ბოროდამ კიდევ ერთხელ დაუმტკიცა საზოგადოებას რომ იგი გამოცდილი სცენის მოყვარეა.

საერთოდ პიესამ ჩინებულად ჩაიარა, ყველა პირიანობად ასრულდება თავიანთ მოვალეობას, მაგრამ საზოგადოებაზე ვერ დასტავა იმდენი შთაბეჭდილება, რამდენიც ენერჯია "შელოცის მით შემსრულებლობა" და ამის მოთავარი მიზეზის იყო, რომ საზოგადოებამ ვერ გაეგო პიესის მთლიანი შინაარსი ვინაიდან ის ორგანიზალად დაკავშირებულია "გამზარი ფოთოლთან", რომლის გაგრძელებასაც წარმოადგენს ამ საღამო დადგმული "მეგობრობა". ხოლო მეორე მიზეზის ეს გახლავთ, რომ ჩვენი საზოგადოება ვერ კიდევ მიუწევდა სცენიდან ფილოსოფიურ-მეცნიერულ საგნებზე მსჯელობას და ეს მისთვის მოსაწყენი ხდება; მას ყოველთვის მისიური სცენები მოსწონს, ან და ისეთი რას, რაც აქვს ლეხოს და მისი სასაცილო ელემენტს შეიცავს. ეს ჩვენი საზოგადოების ჩამორჩენას მოწოდებს მაგრამ რას იხამთ?!

საღამოს საზოგადოება აუარებელი დაესწრო, მიუხედავად იმისა, რომ ფსევდი აწეული იყო დასასრულ საზოგადოებამ ბ-ნი გ. გუნის ბანკეტი გაუმართა წარმოითქვა მრავალი შესაფერი სიტყვა და 4 1/2 საათზე მონადიმებმა პატესსეში სტუმარი სასტუმროს კარებამდის მიაცილა.

მარტოსელი.

მაგი ზღვის ნაპირები-საკენ.

(შეზავის შესახებ)
(შედეგი იხ. „სამ“. №422).

გაუდექით სამურზაყანოს...

გზები აქეთ თითქოს უკეთესია.. აქაურ ბევრნი რაღაც დაქვავებულ ხალხს წარმოადგენენ. რაც სიტულები ენერჯის ბუნება თანდათან დაღვრემილ სურათს წარმოადგენს. ამ დაღვრემილობის ბეჭედი აზის სამურზაყანოსაც... მიღის თავჩაღუნული, თავზე ჩვეულებრივი, თვალეხანდემ ჩამოხურული შალის ქუდი ახურავს ძველი ჩიხა პერანგზე ჩამოკმული... ქალაქები... ასეთია ჩატუმლობა თითქმის ყოველი სამურზაყანოელის სახლებსაც ეტყობა, რომ ეს ხალხი ფუფუნებში არ სცხოვრობს... აგურ-გვერდები ღებდები... ძალიან იზვიათად სკოლებს თუ შეხედვით უსათუოდ სამრეცლო შკოლას... შკოლების გარეგნული სახე ამტკიცებს, რომ იქვე სწავლა-განათლებას აქ არ ეპყრობიან ისე, როგორც საჭიროა; ვერც ინტელიგენტს შეხედვით აქ ხშირად... მაგრამ ეტყობა რომ აქაური ხალხი დასდგომია გამოაზიარების გზას ყველამ კარგა იცის თუ რა საზოგადოებრივი მნიშვნელობა თუთუნის და როგორი კარგი მოსავალი იცის თუთუნმა აქეთ. სამურზაყანოელები შესდგომიან თუთუნის მოგლა მოშენებას. ხშირად შეხედვით აქა იქ თუთუნის პლანტაციებს.

— გაუტყვს, ბატონო, გემო—ამობს მეეტლე—აქნამდი ყურში ბაზას არ იღებდენ და ახლა კი დაუტოლოდენ საქმეს... რაც უახლოვდებით აფხაზეთის სვეტულგა მოთუნის პლანტაციები; მხოლოდ, სამურზაყანო დასეგნების მათში ისევ უცხოელებისა.

უახლოვდებით ოჩმშირს... შორიდან მოსინან შევი ზღვის ღმრთი ტალღები.

— *Мама, море!*.. იბანის უბანთ პატარა ბავშვი, რომელიც აქამდე თავის წყრიალა ხმით ჰყინის „ორ გრენადერს“ იმდენად, არ აძლევდა მეეტლეს მოსვენებას—ჩაქრა გააქანო... ოჩმშირე ერთი უდიდესი ცენტრია აფხაზეთის... აქ არის თანამოედრო ინტელიგენტის უმეტესი ნაწილი, შკოლები. ბიბლიოთეკა და სხვა და სხვა კულტურული დაწესებულებანი ქართული სულ ნაკლებათ ის მის ოჩმშირედან... მეეტლე, უფრო აფხაზური... გზებში ხშირათ გვისხდება გაჩერება, ყოველ პატარა მდინარეზე ბორანია გაშული... მე და პატარა ბავშვი არ უცდით „მედლეფას“—მედიკამენტები შორიდან გვემის ოსის გულმოსული ლაპარაკი—რისთვის მოგეცე—ეჩხუბება ის მეტორანის, კანონია გასაყვანი ფული მეეტლემ უნდა გადინდეს... ეს რაქტის გადავყვიდე, შენი ჰორიე...

— აქ ასეთი კანონია, ბატონო ეუბნება მენავე.

— *Въ чужой монастырь съ своимъ уставомъ не ходятъ*—ამობს ოსი და ყოველ გადასვლაზე იბდის გასაყვანი ჰორი.

აფხაზეთის ბუნება მაინც და მაინც არ არის მდიდარი. ტყეებიც არ არის ისე ხშირი როგორც სამეგრელოში. დიდხინის ვაკეებს აქეთ სულ აუხნია სიმინდის ყანები—ფოთლები დაფარულია მტკვრით დაშქანარა და ჩამოყრილი... თანდათან უახლოვდებით სოხუმს... შორიდან კიდევაც მოსინან სოხუმის „მაიაკი“...

აი სმეკისი სანატორია... სმეკი ერთი მსხვილი მემამულეთაგანია სოხუმის ოქციში. მისი ბაღები, რომელიც გაშლილია რამდენიმე დეკეტინის სივრცეებზე შესამჩნევად დაშუავეულია. სოხუმიდან ათი ვერსის მანძილზე აქს აშენებული სანატორია ფოთლები ავითმოფთათვის. მისი წყვერზე აგებულია ორი შენობა ერთი ძველი—ორ სართულიანი, მეორე ახალი ხუთ სართულიანი საშუალო საუკუნეების ყაიდაზე. სმეკიკი ეს მამულები და ეს შენობები შესწირა ხალხის განათლების სამინისტროს, იმ პირობით რომ სანატორიუმში მოთავსდენ ავითმოფთ მასწავლებლები ყოველი ხარისხისა... სახალხო განათლებას ეს ერთი საჩუქარი, მართლაც რომ უხვი ხედა... მხოლოდ ჯერჯერობით სანატორიები გადაქეულია წითელი ჯვრის ლაზარეთათ. აქ არის დანიშნული გამგის თანამეშვეთ ჩვენი ოსი თანამგზავრი ის გვეთხოვება... ბოღშს იხდის რომ ქართულათ ლაპარაკი არ იცის კარგათ...

— სულ რუსეთში ვცხოვრობთ—ამობს ის, 1878 წლის ომიდან ყველა იმებში ვმონაწილეობდი, სულ რუსულათ ვლაპარაკობდი და დამიწყდა...

— იქნებ კიდევ შეგხვდეთ სადმე ერთ მანეთს—ეუბნება ის და ყველას ვკითხოვება...

ცოტა ხნის შემდეგ უკვე სოხუმში ვართ ღამე სოხუმში სანთლები დაფარულათ ინთება—ზღვიდან არ შეხედოს მტერმაო, ასე რომ მთელი ქალაქი დაბნელებულია. ოთხი დღე დღე დავრჩით სოხუმში, წასვლაც არ შეიძლებოდა—კერძო დღეუქანზე ჯდობა ყოველი შეუძლებელია—ხშირათ აქვინ ვთუ ოც, ოცდა ხუთ მაგავრს იმ დროს; როცა ათის მეტი არ ეტევა. არის ხანის დღეუქანი *ПОЧТО БИМЯ*—ჩვენ იმით ვადასწყევტეთ წასვლა, მაგრამ ბილეთები სულ გაყიდულიყო და ოთხი დღე უნდა გვეცოდა ჯვრისთვის. ავტომობილი ტუაფსმედი ღებულობს ორმოც მანეთს დღეუქანი 15.

სოხუმშიაც შეხვდებით რამდენიმე ადგილობრივ ინტელიგენტთაგანს, იყენენ ქუთაისიდან, თფლისიდანაც. ქართული საზოგადოება ძლიერ აღუფრებელი იყო. ტრაგედია, ტრამავეიც და კომპანიის გამოსვლით და სუსუსეკი „გესტინის“ უტაქტიყო ქვეით. „დემოკრატია“ ხმოსნები ამხედრებულყვენ 90 წლის ერობის წინააღმდეგ და კიჯაყდენ ქართველი ხმოსნების და „თათბირის უმეტესობის“ საქციელს...

ქართველ ინტელიგენთა ერთ ჯგუფში საქითხი აღიძრა იმის შესახებაც კი, რომ აქ ქართული გავითი გამოეცათ. გამოთქვა აზრი რომ აფხაზეთი ძლიერ ჩამორჩენილია ქართულ კულტურას, და რომ საჭიროა ქართველთა და აფხაზეთა შორის ისევ ვამთლდეს ძველი ერთობის ხილი და სხვ და სხვ. ეტყობა რომ აქაური ინტელიგენცია უყურადღებოთ არ სტოვებს არც ერთ მორიგ საციტხს. ჩვენი ცხოვრებისა.

როგორც სოხუმამდე ისე სოხუმს იქით მთელი შვითზღვის ნაპირებზე მოგზაურის კურალბებს იპყრობს უცხოელთა ავარაკები; რუსული და უცხოელი გვარების წარწერა ყოველ ნაბიჯზე გვხვდება. როგორც რკალი ისეთ შემორტყმინ უხოელები შვითზღვის ნაპირს. ძველ-დროში, აქ ადგილები მუქათათ იყიდებოდა, უყიდით მამულები მათ და ეხლა ყოველ ავარაკზე ვაჭრული წარწერა—*Продаются участки*. მაგრამ როგორ იყიდება?... სამწუხაროდ რამდენი არ ვეცადე ქართველის მამული იქ ვერ დავინახე.. და მტკიოდა გული, რომ ეს სამოთხის მავარი ადგილი, თუ კი ზამთრზე ასე ღამაში იქნება, ჩაუგლიათ ხელში უცხოელებს, დაუტყროთ ეს ადგილები ისე, რომ მათ ხელიდან ვერაფერი გამოვიყვანე და ჩვენ ამ დროს აქ ვძვინავს და ვერ გავვიღია თუ რა სიმდიდრე მიაქვთ უცხოელებს.

ნ. შ-შვიდი.

რომ საჭიროა ქართველთა და აფხაზეთა შორის ისევ ვამთლდეს ძველი ერთობის ხილი და სხვ და სხვ. ეტყობა რომ აქაური ინტელიგენცია უყურადღებოთ არ სტოვებს არც ერთ მორიგ საციტხს. ჩვენი ცხოვრებისა.

როგორც სოხუმამდე ისე სოხუმს იქით მთელი შვითზღვის ნაპირებზე მოგზაურის კურალბებს იპყრობს უცხოელთა ავარაკები; რუსული და უცხოელი გვარების წარწერა ყოველ ნაბიჯზე გვხვდება. როგორც რკალი ისეთ შემორტყმინ უხოელები შვითზღვის ნაპირს. ძველ-დროში, აქ ადგილები მუქათათ იყიდებოდა, უყიდით მამულები მათ და ეხლა ყოველ ავარაკზე ვაჭრული წარწერა—*Продаются участки*. მაგრამ როგორ იყიდება?... სამწუხაროდ რამდენი არ ვეცადე ქართველის მამული იქ ვერ დავინახე.. და მტკიოდა გული, რომ ეს სამოთხის მავარი ადგილი, თუ კი ზამთრზე ასე ღამაში იქნება, ჩაუგლიათ ხელში უცხოელებს, დაუტყროთ ეს ადგილები ისე, რომ მათ ხელიდან ვერაფერი გამოვიყვანე და ჩვენ ამ დროს აქ ვძვინავს და ვერ გავვიღია თუ რა სიმდიდრე მიაქვთ უცხოელებს.

ნ. შ-შვიდი.

ნი მამა-პაპა ქართველი ისრაელიები.

ი. ხ. შვიდი და მ. ხანაშვილი.

P. S. რაც შეეხება იმ ხმებს, თითქოს ჩვენ ბ-ნ ბაზოვისათვის შერიგება ვკითხოვოს აღძრულ საციტხში, ვაუბრებთ საჯაროთ, რომ ეს ხმები ფანტაზიის ნაყოფი გახლავს.

ი. ხ. და მ. ხ.

გაგია მ. მ. კოხრაიძე

ურის ყველს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავითმოფთ რჩევა-დარიგებებს ყოველ დროს. აკუსონდრის ქუჩა, სვ. თეოდორის სახლი, ფეიქიავის მღვდლის მიმდებარე.

გაგოფილი გასაზოგადელი

სტუდენტი ამხადებს მოწაფეთ უმუღბ სასწავლებლისთვის სუქამისა-წლამ ფასებში.

მისამართი: ვაზ. „სამშობლოს“ რედაქცია

მამივი მ. ჩარბიძე ქალაქი. საავითმოფთ ორდინატორი. და ბარუნდა და ბანახადა ავითმოფთების მადება დილით 12 1/2-2 საათ. საღ. 8-8 საათ. მიიღებს მსოფოდ კანის და ვენერულ ავითმოფთებს.

მისამართი: ლგავშიის ქუჩა, ალიბეგვის სახ. ტელეფონი № 135.

ლოქტორი მედიცინისა

პრივატდოცენტი

მ. ვ. მოსევილი

მიიღებს მსაგანი და ნერვების ავითმოფთებით სუქლეს დილით 8 ს. საშუადღევს 2 საათამდე და საღამოს 6 ს.—8სათ. 2 კოსპიტის ქუჩა № 6

ვიყვან მოვაფთებ

კლასისთვის მონადიმებლად და განსაკუთრებით რეკონსტრუქციისთვის **სამშობლოს**

ნახვა დილის 8—საღამოს 6 ს-მდე. ამორისის ქუჩა, სახლი დემიდოვის, სტუდენტი 244

ა. ხ. თეოდორი



ჩინის გზის თიფისკა.

(დრო აღდგომბრვიუ ნახევრებში).

ქ. ქუთაისის მოდის.

თფლისიდან — დილის —	7 ს. 25 წ.
— საღამ. —	8 ს. 50
ბათომიდან — დილის —	12 ს. 40
— ღამის —	2 ს. 20
ფოთიდან — დილის —	10 ს. 26
ტიბულიდან — საღამოს —	6 ს. 50
შორანრიდან — დილის —	9 ს. 24

ქ. ქუთაისიდან ვაღის.

თფლისისაკენ — დილის —	11 ს. 5
— ღამის —	12 ს. 15
ბათომისაკენ — საღამოს —	7 ს. 3
— დილის —	5 ს. 55
ფოთისაკენ — დილის —	4 ს. 8
ტიბულისაკენ — დილის —	6 ს. 20
შორანრიისაკენ — დილის —	5 ს. 20

რედაქტორი ი. ცინცაძე.

გამომცემელი ამხან. „სამშობლოს“

რუსეთი.

ქ სარატოვში სახლის პატრონი ბ. მ. კალენინსამ სასამართლოს დადგინდა ბიზნის ფასის სიმკროის გამო ძალიან დაუთხოვა ქალაქის მოურავი გოლოკოვი.

„რევი“ ამობს: საყოველთაო ყურადღება მიიპყრო თურქესტანში ყურაპატიონის დანიშნამ. ხანას, მისის ადმინისტრაციულ და ცხოვრების გამოცდილებას დიდად აფასებენ ეხლა, როდესაც უცხო ერებს ომში იწყებენ.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ გუბერნატორებს ცირკულარები დაუგზავნა საგუბერნო თაყად აზნაურთა წინამძღოლებთან შეთანხმებით დანიშნონ დრო კრებისათვის, რათა მათ დასახელონ ორორი წარმომადგენელი საბჭოს ვარდცვალებულ სამ წევრის ნაცვლად ახალი წევრების ამოსარჩევად.

ღია წერილი

(ბატონულ ინსამელთა საპიტვის ბარუმი.)

როგორც დაწამდლებით ვაგიგეთ-რამოდენიმე პირი, რომელთაც თურმე არ მოსწონებიათ ჩვენ მიერ ბ-ნ ბაზოვის წინააღმდეგ გალაშქრება და რომელიც ქართველ ისრაელთა საციტხს მხოლოდ გაზთებიდან იცნობენ, (და ან კი იცნობენ?) დაიარებიან არა თუ ქართველ მოღვაწეებთან და „აჯერებენ“ მათ, რომ ი ნ—შვილისა და მ. ხანაშვილის აზრს და შეხედულებას ჩვენი საციტხში ბევრი არ იზიარებსო, არამედ ამასვე ჩასძახიან თვით ქართველ ისრაელებს და მათ ჩვენ წინააღმდეგ ამხედრებენ.

რა საკვირველია, ყოველი შეგნებული და მშობლიო ისტორიის მკლდე ქართველი მოღვაწე მათ ასეთ არა საკლარის საკითხს ექვსი თვალის შეხედვით, მაგრამ ვინაიდან შესაძლოა ამ ვაჯატონებს ასეთმა ჩემ-ჩემით სიარულმა შეცდომაში შეიყვანოს ჩვენი საციტხის კარგად არა მკოდენი (და ასეთები ბლომად უნდა მოიპოვებოდენ) წინადადებას ვაძლევთ ამ ვაჯატონებს თავი დაანებონ ასეთ უგვანო „მოღვაწეობას“ და პრესის საშუალებით დაარღვიონ ჩვენთვის წამოყენებული დებულებანი და დაგვიტკიონ, რომ ჩვენ ავადენილი ვართ ქეშარტი გზას. ჩვენ აქ აღარ ვაგვიმოვრებთ ყველა იმას, რაც უკვე გამოავითქვამს.

ჩვენ ჩვენს წერილებში შევეცადეთ შეძლებისდაგვარად გამოვევლია და დავემტკიცებთ ისტორიულად და მეცნიერულად ჩვენი კროფუნალი გონაობა.

ხოლო ვისაც რაიმე საწინააღმდეგო აქვს ჩვენს მიერ წამოყენებულ ფაქტებისა გათხოვთ ვახეთის საშუალებით განცხადლოთ და ჩურჩულს თავი გაანებოთ, ვინაიდან ჩვენ ისეთივე ერთგულნი ვართ ჩვენი რეჯულისა, როგორც იყენენ ჩვე-

სუსუნაგი.

ვისაც სურს ერთხელ და სამუდამოდ ვანიჭონო ამ ავადყოფობისაგან მუდამ უნდა ასოვდეს, რომ მისი თავიანთ მოზარება შეიძლება **სუსუნატის** წამლით პირველ ხარისხისაგან **„მონოზანიტ“**. ეს წამალი სულ რამდენიმე დღეში ჰქურნავს დაძველებულ სუსუნატს.

საშალეა **ნანადია თბილისის, რუსეთის** და **სახლმარბაითელ მთხვანის** და **პროფესორების** მიერ და აღორბულია საუკეთესო წამლიად სუსუნატის მოსარჩენად.

ჩვენი გარანტი: თუ თქვენთვის ეს საძნელო არ იქნება, გათხოვთ შევეითნოთ რომელსაც გასურთ ექიმს ჩვენი საშუალება ავითმოდოთ ავითმოდოთ, რომ ეს აბები საუკეთესო და უფრო საშუალებაა. ერთიანობა ნაცალი მამაკაცებზე და ქალებზეც. მაშ, ნუ ბარჯავთ დიდ ფულს უშედეგო წამლობაზე, რადგანაც კი კოლოფი და ორი შუშის შეხსაუბნებოთ, რომელიც წამლიდან არის ერთად, საცემით ჰქურნავს ავითმოფთს ამ მიმეუ სენისაგან.

ერთი კოლოფი აბებისა ღირს 4 მან. და მ შუშა შესახაუბნებელი ღირს 9 მანეთი. სხვა ქალაქებში გაიგზავნება მ მანეთის მიღების შემდეგ.

მიწერ-მოწერა და წამლის დაკვეთა შეიძლება მხოლოდ **რ. შმიდტ თბილისის** თხინვალის ქუჩა № 12, მახლობლივ გოლოვინის პროსპექტისა და მეყავის ქუჩის **Р. Шмидт, Тифлисъ, Тхинвальская ул., № 12** იქ.

უკანოვა და ნეპრასტენი.

უკანოვა და ნეპრასტენის დროს ავითმოფთები დიდი სიფთხილით უნდა მიიქცნენ სამედიცინო საშუალებათა ამორჩევაში, ბევრგვარი საშუალება არსებობს, რომელიც დროებით ამატებს ნეპრასტენის სისტემას, ხოლო შემდეგ უფრო ავითმოფთებს ავითმოფთობას. ნამდვილ მეცნიერულათ მომზადებულ და ცნობილ პროფესორებისაგან მოწონებულ საშუალებათ უკანოვის დროს ითვლება რადიკალური ფრანგული პრეპარატი

გრანული ექ. გლეხისა.

გრანული იმ. გლეხისა მრავალნაირით გამოისახავს ევროპის სხელი კლინიკებში და მეცნიერების წარმომადგენლებისაგან ცნობილ იქნა, როგორც რადიკალური და უტყუარი საშუალება სხვადასხვაგვარ ფორმის ქესურ იმპლენტის და ნეპრასტენის წინააღმდეგ წამლობისათვის.

გრანული ექ. გლეხისა პირდაპირ მოქმედებს ნეპრასტენის ცენტრზე, რომელიც სქესურ მოქმედებს ხელმძღვანელობს, ამატებს მათ, სპობს სისუსტეს და ახახლებს ნორმალურ სქესურ ფუნქციებს. ამასთანავე **გრანული** მივლს ნეპრასტენის სისტემას ასახრავს ფოსფორით, ასალებს მთელს ნეპრასტენს, სპობს სისუსტეს, უმატებს ძალას, სპობს სული დაავითმოფთობას, გულის ექვას, თავის ტვინის და სხვა ნიშნებს ნეპრასტენისა. **გრანული ექ. გლეხისა** ერთადერთი საშუალებაა, რომელსაც აუცილებლათ უჩვენებ გამოთნილი პროფესორები ყოველგვარ სისუსტის წინააღმდეგ და დიდი წარმატებით ხმარობენ ევროპის სანატორიუმში, კლინიკებში და საავითმოფთებში.

გრანული იყიდება ქუთაისში მხოლოდ ქუთაისის განყოფილებაში „სამშობლოს“ პრაქტიკულ ლაბორატორიისა **ბ. შამბარაშვილს** საფითაქო მალხაზში, გიმნაზიის ქუჩა, თეატრის პირდაპირ.

ფასი ერთი ყუთვისა—6 მანეთი. სრულ ვაგითმოფთებისათვის საჭიროა 2-8 ყუთი.

მრავალ მოწონებათა შორის, რომელიც გამოთქმულია პროფესორებისა, ექიმებისა, და ავითმოფთების მიერ, უადგილობის ვალე აქ მოვყავს მხოლოდ ერთი ცნობილი ექიმის—სტატსკი სოვეტინის გ. ვ. ჩრულის 50 წლის პრაქტიკანის აზრი ამ წამლის შესახებ.

მ. ხ. ექ. გლეხის მიერ მომზადებული პრეპარატი მე ვინაზრე სამი მსკოვანი ავითმოფთის წამლობის დროს და დავრწმუნდი, რომ პრეპარატი ექ. გლეხისა შეუდარებელი და უტყუარ საშუალებათ ცხადია. თუნდაც მკირე ღობა საწყათ დღეში ორჯერ რამ მიიღოს ავითმოფთა, ათი დღის შემდეგ უკვე დაწყებულა ამ წამლის წარმატებაში. 48 წლის პრაქტიკის დროს მე ბევრგვარი საშუალება მიმარია ახლათ თუ ძველათ გამოვინილი, მაგრამ სირაბლ უნდა ვთქვა, რომ გლეხის პრეპარატი პირველი ადგილ უკეთია მთ შორის ნეპრასტენს განაქვებისა და კაცობის აღდგენაში. (წლიური) მ. ლეკ. მ. სოვ. გლეხის ვიკეტის ძე **გრანული** ქ. თლესა.